პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совьтов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 36-ე წელი № 91 (10485) | ოთხშაბათი, 18 აპრილი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ბიბლიოთეკა ✦ თბილისი

დღეს ნომერში:

ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავისათვის (1-ლი გვერდი).

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს. — ვ. სააკაშვილი. — ყურძნის მაღალი მოსავლისათვის. (1-ლი გვერდი).

რეპორტაჟი. — დ. ლომთათაძე. — კიდევ ერთი წყალსადენი თბილისისათვის (1-ლი გვერდი).

ი. მალიშევი. — ვ. ი. ლენინი ხალხის მასების შემოქმედებითი როლის შესახებ (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის შესახებ (მე-2 გვერდი).

მთელი ძალები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. — ვ. ცირეკიძე. — ლენინის სახელობის შახტის პარტიულ კრებაზე. ც. ვაჭარაძე. — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან (მე-3 გვერდი).

ვთესოთ სიმინდი [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

გაღაჭრით გავაუმჯობესოთ უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური მუშაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში.

მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავების დიადი პროგრამა და აქტიურად ჩაებნენ მისი განხორციელებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ XX ყრილობის დირექტივები ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული პროგრამაა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხის სააიკოცხლო ინტერესებს, მილიონობით საბჭოთა ადამიანის ფიქრებსა და ძისწრაფებებს.

კომუნისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული ამოცანების შესრულებაში, რომლებიც ყრილობამ დასახა, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩვენს უმაღლეს სკოლას. იგი ამზადებს სპეციალისტებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის. დირექტივებით გათვალისწინებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების საერთო გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება.

უმაღლესი სასწავლებლების, მათი ხელმძღვანელობის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, პროფესორ-მასწავლებლების ვალია დაუცხრომლად იბრძოლონ იმისათვის, რომ აღზარდონ სტუდენტი ახალგაზრდობა სამშობლოსადმი უანგარო სამსახურისა და კომუნიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 19 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 42 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. მარტო გასულ წელს ამ სასწავლებლებმა 5 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვეს. ისინი ამჟამად თავდადებულად მუშაობენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში — ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ავალებს ჩვენს ახალგაზრდობას ბიჯითად, შეუპოვრად ისწავლოს, წარმატებით დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. მთელი თავისი ცოდნა მოახმაროს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მუშაობა, სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანებს დაუქვემდებარონ ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება, მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდა, მთელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

სტუდენტი ახალგაზრდობის იდეოლოგიურ აღზრდაში, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებაში დიდი როლი აკისრიათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყოველი ლექცია მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე მაღალ მეცნიერულ-თეორიულ დონეზე იდგეს.

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ნაკლოვანებები ახასიათებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებას. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში ზოგიერთი ლექცია და სემინარი დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა, მოწყვეტილია ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, თავისუფალი არ არის დოგმატიზმისა და ძედავითნეობისაგან, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნებში მთელი რიგი ლექციებისა და სემინარების მეცნიერულ-თეორიული დონე დაბალია, ისინი მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში ლექტორი შ. ადამია იმდენად მშრალად, უინტერესოდ კითხულობს ლექციებს, რომ მის მიერ ჩატარებული მეცადინეობა ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს სტუდენტებს და ლექციის დროს ისინი სხვა საგნის ლიტერატურას კითხულობენ.

უნივერსიტეტის ბევრი პროფესორი და მასწავლებელი მხოლოდ ლექციების წაკითხვას სჯერდება და არ მონაწილეობს სტუდენტთა აღზრდის საქმეში.

უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ამაღლებს კვალიფიკაციას. ეს ითქმის, მაგალითად, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბევრ ლექტორზე.

დიდი პასუხისმგებლობა სტუდენტთა აღზრდისათვის, მათ შორის იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებისათვის აკისრებათ უმაღლესი სკოლების პარტიულ ორგანიზაციებს. უმაღლესი სასწავლებლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ძირითად შინაარსს სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება უნდა შეადგენდეს, მაგრამ მათი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სტუდენტი ახალგაზრდობისა და პროფესორ-მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. დაბალ დონეზეა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა აგრეთვე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ უმაღლესი სკოლების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, მათი იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებას.

უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა აღმოფხვრან სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, უზრუნველყონ იდეოლოგიური მუშაობის კვეთრი მობრუნება ცხოვრებისაკენ, პრაქტიკისაკენ, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული საკითხებისაკენ.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლა უმაღლეს სასწავლებლებში მჭიდროდ უნდა დაეუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს, სტუდენტთა იდეური აღზრდის გადაჭრით გაუმჯობესების საქმეს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას, ღრმა გაშუქება უნდა მისცენ იმ საკითხს, თუ რა გადამწყვეტ როლს ასრულებენ კომუნისტური მშენებლობაში ხალხის მასები.

უმაღლესი სასწავლებლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა სტუდენტების აღზრდა კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავისათვის

ჩვენი ქვეყნის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან დიდი ლენინის დაბადების 86-ე წლისთავის აღსანიშნავად. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში იკითხება ლექციები, ეწყობა მოხსენებები და საუბრები, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

ლენინის სამშობლოში — ულიანოვსკში, ასობით ექსკურსანტი დადის სახლ-მუზეუმში, სადაც ცხოვრობდა ულიანოვების ოჯახი, სკოლაში, სადაც სწავლობდნენ ვლადიმერ ილიას-ძე და მისი ძმა დიმიტრი. იმატა ექსკურსიებმა, რიცხვმა ლენინის სამშობლოში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან. დაიწყო ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ტრადიციული კითხვა.

ლენინგრადში ამ დღეებში ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკის", ფაბრიკა „ვერეტენოს" და სხვა საწარმოთა მშრომელების დიდი ჯგუფები, აგრეთვე ოლქის ბევრი კოლმეურნეობის მშრომელები აწყობენ ექსკურსიებს ქალაქის ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ლენინის სახელთან. ისინი იყვნენ ლენინის მოედანზე, ფინთის ვაგზლის წინ, თავრიდის სასახლესთან და სხვა ადგილებში. ბევრი მიმსვლელია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალის დარბაზებში.

ლიტერატურის დიდი გამოფენა გახსნა მინსკში ბელორუსიის სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. გამოფენაზე წარმოდგენილია ვლადიმერ ილიას-ძის წიგნები, ნიშვიათი ეგზემპლარები, რომლებიც გამოსულია რევოლუციამდე. გამოფენილია აგრეთვე ლენინის ნაწარმოებნი, გამოცემული ჩინურ, კოორეულ, პოლონურ, გერმანულ, ფრანგულ და ბევრ სხვა ენაზე.

ტაშკენტში უზბეკეთის სსრ ისტორიის მუზეუმში მნახველნი ინტერესით ეცნობიან მასალებს იმის შესახებ, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა ლენინი შუა აზიის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას, სოციალისტურ მშენებლობას უზბეკეთში. დოკუმენტებს შორის არის ფოტოპირი ლენინის დეკრეტისა თურქმენეთში სარწყავი სამუშაოებისათვის სახსრების ასიგნების შესახებ, ლენინის დეპეშები, დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკის განხორციელებასთან. დიდ სურათზე აღბეჭდილია ვლადიმერ ილიას-ძის შეხვედრა თურქესტანის მშრომელთა დელეგაციასთან.

ბაქოს მენავთობეებსა და ბაქოს გარნიზონის მეომრებს წაუკითხეს ლექციები თემებზე: „ილიჩის ოცნება ჩვენს სინამდვილეში", „ვ. ი. ლენინის სახე მხატვრულ ლიტერატურაში". ღარსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილია წიგნებისა და ილუსტრაციის გამოფენები, რომლებიც ეწყობა აზერბაიჯანის ბიბლიოთეკებსა და კულტურის სასახლეებში. ახალი დოკუმენტებით შეივსო ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალის ექსპოზიცია. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები ემზადებიან საზეიმო საღამოებზე გამოსასვლელად.

რიგაში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი ლენინის შრომები, მათ შორის ნაშრომები ლატვიელი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის შესახებ. ასეთივე გამოფენები მოეწყო პარტიის რაიკომების ბიბლიოთეკებში. სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში.

კიშინიოვის ა. ს. პუშკინის სახელობის ბავშვთა და ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა აწყობს დილას, რომელზეც მოწვეული არიან რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილენი. ბავშვები ამზადებენ ლიტერატურულ მონტაჟს თემაზე „ლენინი ახლაც ყველა ცოცხალზე ცოცხალია". (საკდესი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავისადმი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის საწარმოებში, სკოლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 86 წლისთავის აღსანიშნავად.

ამასთან დაკავშირებით პარტიის რაიონულ კომიტეტში გაიმართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი. აგიტატორთა სემინარები მოეწყო აგრეთვე ფეროშენადნობთა ქარხანაში.

პარტიულ ბიბლიოთეკაში და კლუბსამკითხველოებში მოწყობილია ლიტერატურისა და ფოტოდოკუმენტების გამოფენები. ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საინტერესო საუბრებს ატარებს ასობით აგიტატორი. გათვალისწინებულია 18-23 აპრილს მასობრივად წაკითხულ იქნას ლექციები ხალხთა საყვარელი ბელადის ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

ყურძნის მაღალი მოსავლისათვის

1954 წლის შემოდგომაზე რგოლის საწარმოო თათბირი მოვიწვიე. დღის წესრიგში იდგა ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხი. მევენახეებმა რთვლის შედეგებზე ილაპარაკეს, აღნიშნეს, ყურძნის უფრო მეტ მოსავალს მივიღებდით, ვაზს უკეთესი მოვლა რომ ჰქონოდა. მათ საქმიანი წინადადებები წამოაყენეს და ერთსულოვნად გადაწყვიტეთ რვა ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მოგვეყვანა. ჩვენი თანამონაზა კოლმეურნეობის გამგეობამ მოიწონა. მევენახეობის რგოლს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა.

ვ. სააკაშვილი.

★

ნათქვამს შესასრულებლად ბეჯითი შრომა გავაჩაღეთ. უწინარეს ყოვლისა ვაზებს შორის მწკრივები დავბარეთ. მწკრივთა შორის ფართობი 18 სანტიმეტრ სიღრმეზე მოვხანით. სარეველა ბალახების ფესვები ხელით შევაგროვეთ, ვენახებიდან გამოვიტანეთ და მოვსპეთ. გაზაფხულზე, ვაზის კვირტების გაღვიძებამდე, ნიადაგი მეორედ მოვხანეთ. მწკრივები გავთოხნეთ. გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში ნიადაგის კულტივაცია ორჯერ მოვახდინეთ. რითაც სარეველა ბალახებს განვითარების საშუალება არ მივეცით.

ვენახები ზოგან მეჩხერი იყო. მოსავლის შემცირების თავიდან ასაცილებლად მოვახდინეთ ვაზის გადახვევნება, ერთ ვაზს ორი-სამის ადგილი დავაკავებინეთ.

წინათ ამბობდნენ, ზედმეტი დატვირთვა ვაზის დასუსტებას გამოიწვევსო. ეს აზრი ჩვენ უკუვაგდეთ, გასხვლისას თვითეულ ვაზს დავუტოვეთ 7-8 რქა 40-ზე მეტი სანაყოფე კვირტით. ერთმანეთისათვის ხელი რომ არ შეეშალათ, რქები სხვადასხვა მხარეს გადავაკავეთ. აერიზაცია ზომიერი იყო. ამრიგად, ვაზი ვაიძულეთ გაძლიერებულიყო და მეტი საზრდო მიეწოდებინა ნაყოფისათვის. ასეთი წესით გასხვლამ ვაზის შტამბის ზომაზე მეტად დამსხვავლება გამოიწვია.

„ჩალისთავი", სადაც ჩვენი რგოლის ვენახებია გაშენებული, ნაყოფიერია, მაგრამ ნიადაგის გაპატივებას მაინც საჭიროებს. ვაზისათვის ორგანული და მინერალური სასუქები არ დაგვიკლია.

ვაზის ფურჩვნა სათუთი სამუშაოა და ამიტომ ამ სამუშაოზე მცოდნე და გამოცდილი კოლმეურნეები გამოვყავით. ვაზებს მოვაცილეთ შტამბიდან და ძირიდან ამოსული ყველა ყლორტი. ფურჩვნას ზოგან ორჯერ აწარმოებენ, ჩვენ კი მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ეს სამუშაო ოთხჯერ მოგვეწყო.

ვაზის ყვავილობის დაწყებამდე მოზარდ ყლორტებს წვერობა წავაწყვიტეთ. ამით თავიდან ავიცილეთ ყვავილის გაცვენა, რაც მტევნებში, იმიტომ რომ ქალაქს გრძელი პროფილი აქვს, არსებული წყალსადენები ჩრდილოეთის მხრიდან აწვდიან მას წყალს და, სანამ წყალი ქსელში ქალაქის მთელ სიგრძეზე გაიელიდეს, გზაში იხარჯება.

სამგორის ახალი წყალსადენის ამუშავების შემდეგ ასე აღარ იქნება. „თბილისის ზღვიდან" წამოსული წყალი ქალაქში მეორე კუთხიდან შევა და გადაპარბებით დაფარავს არსებულ მოთხოვნილებას.

ახლა „თბილისის ზღვის" სამხრეთ სანაპიროს იმ ადგილიდან, სადაც სამგორის სარწყავი სისტემის ქვედა მაგისტრალური არხის სათავეა, ნავთლუღის მიმართულებით მრავალი კილომეტრის მანძილზე გაჭრილია ტრანშეა, რომელშიც ჩაწყობილია ლითონის დიდდიამეტრიანი მილები. ეს ტრანშეა ისე ღრმაა, რომ შიგ ორსართულიანი სახლი დაიმალება. მშენებლები მთელი თავიანთი მძლავრი ტექნიკით გადასული არიან შეტევაზე. შეუნელებლივ აძლიერებენ წყალსადენის ნაგებობათა მშენებლობის ტემპს. იზრდება ტრანშეაში მძიმედ ჩაწოლილი მილების ხაზი, დამთავრების პროცესშია სამიჯნო კაბერის, გონებამახვილურა კონსტრუქციის საფილტრე ნაგებობის, უზარმაზარი რეზერვუარის მშენებლობა.

მშენებლები თბილისს უახლოვდებიან. ეს ისინი არიან, ვინც „თბილისის ზღვა" გააჩინა, ვინც ივრის წყალი ყოფილი მლაშე ტბების ტაფობში ჩამოიყვანა, სარწყავი არხები გაიყვანა და კოლმეურნეებს გამოფიტულ ყამირზე ჯიჯგილი აამბინებინა. იგივე მუშები, ტექნიკოსები, ინჟინრები, იგივე ხელმძღვანელები, რომლებთანაც ამ ხუთიოდე წლის წინათ ათეულ ათასობით თბილისელმა მშრომელმა დაუვიწყარი ზეიმით აღნიშნა თბილისის კარიბეჭესთან ივრის წყლის მოსვლა.

შრომაში ნაცად სამგორელ მშენებლებს თბილისისათვის გაჰყავთ ახალი წყალსადენი და თან წარმატებით განაგრძობენ თავიანთი ძირითადი ამოცანის შესრულებას — სამგორის ახალი ფართობების ასათვისებლად სარწყავი არხების ქსელის მოწყობას.

ზამთარში ხანგრძლივმა ცუდმა ამინდმა შეანელა მშენებელთა შრომითი შემართების ძალა, თორემ წყალსადენის გაყვანას დანიშნულ ვადაზე უფრო ადრეც დაამთავრებდნენ.

ახლა კი განთიადიდან დაისამდე არ შორდებიან სამუშაო უბნებს. ჩვეული ენთუზიაზმით შრომობენ ნაცადი სამგორელები — დავით ბზიშვილი, იოსებ ჯარიაშვილი, სოგელა კოკოშვილი, ილია ფიცხელაური, წყალსადენის სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი ა. სუბოტინი და სხვ.

— დაწესებულ ვადაზე წყალს უთუოდ მივიყვანთ დანიშნულ ადგილამდე, შემდეგ კი წყალსადენის ქსელის მუშაკების საქმეა, — ამბობენ ისინი.

წყალსადენის ტრესტის მუშაკთა კოლექტივის, მათი ხელმძღვანელების ვალია ყველა ღონისძიებით დაეხმარონ მშენებლებსა და მემონტაჟეებს ამ ახალი წყალსადენის დროზე ამუშავებაში.

ვარდო სააკაშვილი,

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის მერგოლური.

უფრო მეტად ისახელეს თავი რგოლის ცალკეულმა წევრებმა. ს. ტერტერაშვილმა ერთ ჰექტარ ვენახში 176 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღეს კოლმეურნეებმა გ. ფარემუზოვმა, გ. სააკაშვილმა და სხვებმა. ჩვენი რგოლის წევრებმა მარტო პრემიის საჩით 12.400 კილოგრამი ყურძენი მიიღეს.

ეს იყო შარშან. წელს მეტი მოგვეთხოვება და კიდევაც უნდა გავაკეთოთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას გადაწყვიტეთ წელს რვა ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 170 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერისა.

წელს ვაზის მწკრივთა შორის ხვნა უკვე ორჯერ მოვაწყეთ, ძირები გამობარულია. ვენახები საუკეთესოდ გავსახლეთ. სიმეჩხრე მთლიანად რომ მოგვესპო, ვენახს ბევრი ახალი ვაზი შევმატეთ. შტამბი ხმელი ქერქისაგან გავწმინდეთ. სასუქებიც გასულ წელთან შედარებით გაციცლებით მეტი შევიტანეთ. მომარაგებული გვაქვს ქიმიკატები ვაზის წამლობისათვის.

ჩვენი რგოლის წევრები ვაზს კვლავაც არ მოაკლებენ მზრუნველობას. პირობას პირნათლად შევასრულებთ და გავიმარჯვებთ უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ვარდო სააკაშვილი,

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის მერგოლური.

ШВЕЦИИ ПРЕМИЕР-МИНИСТРУ ГАТОН ЭРЛАНДЕРУ

Принимая Ваше сообщение о Вашем назначении на пост премьер-министра Швеции, мы выражаем Вам наилучшие пожелания в Вашей плодотворной деятельности на пользу шведского народа.

Мы выражаем также наилучшие пожелания Вашему предшественнику, Вашему соотечественнику Тагу Сегерстедту.

Мы выражаем уверенность в том, что Вы, как и Ваш предшественник, будете стоять на позициях мирного сосуществования и сотрудничества между государствами, на позициях, которые пользуются всемирным признанием.

Мы выражаем также

ვ. ი. ლენინი ხალხის მასების შემოქმედებითი როლის შესახებ

საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა გამსჭვალულია ხალხისადმი, მისი მძლავრი ენერგიისა და დაუშრეტელი შემოქმედებითი აქტივობისადმი ღრმა რწმენით. ჩვენი პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებით ხალხის როგორც ისტორიის შემოქმედის, როგორც საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი ძალის შესახებ.

ისტორიაში ხალხის მასების როლის საკითხი მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ძირეული საკითხია. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა ცხადყვეს მთელი უნიადაგობა იდეალისტური თეორიებისა, რომლებიც ცალკეულ გამოჩენილ პირებს მიაწერენ გადამწყვეტ როლს საზოგადოების განვითარებაში. საზოგადოების ისტორია უწინარეს ყოვლისა თვით მშრომელი მასების ისტორიაა.

ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის საკითხის შემდგომი ყოველმხრივი დამუშავება მოცემულია ვ. ი. ლენინის შრომებში. ლენინის მთელი მოძღვრება ეყრდნობა საზოგადოებრივ განვითარებაში ხალხის მასების დიადი შემოქმედებითი როლის აღიარებას. ლენინი იყო ხალხის ნამდვილი ბელადი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებული იყო ხალხთან, კარგად იცნობდა მის ცხოვრებას და უსაზღვრო რწმენა ჰქონდა მუშათა კლასისა.

ვ. ი. ლენინმა მტკიცედ გაიღაშქრა „გმირებისა და ბრბოს“ შესახებ იმ სუბიექტურ-იდეალისტური თეორიის წინააღმდეგ, რომლის პროპაგანდას ეწეოდნენ ნაროდნიკები, ხოლო შემდეგ ესერები და რომლის თანახმად ისტორიას მხოლოდ „გმირები“ ქმნიან, ხალხის მასები კი ბრმა იარაღი არიან მათს ხელში. ლენინმა შექმნა კომუნისტების დიადი პარტია როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, როგორც მშრომელთა პარტია, რომელიც ხალხის პოლიტიკური ბელადია და რომელიც მასებთან განუყოფელ კავშირში იკრებს ძალებს.

„მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, — აღნიშნავდა ლენინი, — ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში“ (თხზ., ტ. 26, გვ. 338).

საბჭოთა ადამიანების დიადი ენერგია გრანდიოზულ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებაში, კომუნიზმის მშენებლობაში უაღრესად მკაფიოდ მოწმობს, თუ რაოდენ ძლიერი და ცხოველმყოფელია ლენინის იდეები ხალხის როგორც ისტორიის ნამდვილი შემოქმედის შესახებ.

* * *

მარქსი აღნიშნავდა, რომ ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად იზრდება იმ მასის მოცულობაც, რომლის საქმესაც ეს მოქმედება წარმოადგენს. ლენინი ამ დებულებას უწოდებდა ერთ-ერთ უღრმეს და უმნიშვნელოვანეს დებულებას მარქსიზმის ფილოსოფიაში.

ხალხის მასების როლი უაღრესად იზრდება რევოლუციების პერიოდში, როცა მასები გამოდიან როგორც ახალი საზოგადოებრივი წესების აქტიური შემოქმედნი და ამ წესების დამკვიდრებისათვის თავიანთი ბრძოლით აჩქარებენ ისტორიის მსვლელობას.

ეს განსაკუთრებით თვალნათლივ იჩენს თავს პროლეტარულ, სოციალისტურ რევოლუციებში. მშრომელ მასებს არც ერთ რევოლუციაში არ შეუსრულებიათ ისეთი გადამწყვეტი როლი, როგორც დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში. ყველა წინანდელი რევოლუცია ისტორიულად შეზღუდულ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან მათში საქმე მხოლოდ იმით განისაზღვრებოდა, რომ ექსპლოატაციის ერთი ფორმა იცვლებოდა მეორით, ექსპლოატატორთა ერთი კლასი მეორით. ოქტომბრის რევოლუციამ წამოაყენა ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობის, უკლასო, კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანა.

ბურჟუაზიულ რევოლუციებში მშრომელთა მთავარი ამოცანა ის იყო, რომ შეესრულებინათ უარყოფითი ანუ დამანგრეველი მუშაობა: მოესპოთ ფეოდალიზმი, მონარქია, შუასაუკუნეობრივობა, ხოლო ახალი საზოგადოების ორგანიზაციისათვის შემოქმედებითს ანუ დადებითს მუშაობას მჭონებელი, ბურჟუაზიული უმცირესობა ასრულებდა. სოციალისტურ რევოლუციაში, პირიქით, ჩაგრული მასები პროლეტარიატისა და მისი პარტიის მეთაურობით ასრულებენ არა მარტო დამანგრეველ, არამედ უმთავრესად შემოქმედებითს, აღმშენებლობითს როლს ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, წარმოების ახალი წესის, ახალი კულტურის შესაქმნელად.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა ვერ განხორციელდება ისე, თუ მილიონობით მშრომელნი არ იქნენ ჩაბმულნი ცხოვრების ახალი ფორმების მშენებლობაში. „რაც უფრო დიდია გაქანება, რაც უფრო დიდია ისტორიულ მოქმედებათა მოცულობა, — ამბობდა ლენინი, — მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მოქმედებაში მონაწილეობენ, და, პირიქით, რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გავაძლიროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები. საბოლოო ანგარიშით ჩვენმა რევოლუციამ იმიტომ მოიტოვა შორს ყველა დანარჩენი რევოლუცია, რომ მან საბჭოთა ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის აამოძრავა იმ ადამიანთა ათეული მილიონები, რომლებიც წინათ დაინტერესებული არ იყვნენ ამ მშენებლობით“ (თხზ., ტ. 31, გვ. 612).

მასების ცოცხალ შემოქმედებას ლენინი ახალი საზოგადოებრიობის ძირითად ფაქტორს უწოდებდა. იგი ამბობდა, რომ სოციალიზმი არ იქმნება ზემოდან ბრძანებებით, მისი არსისათვის უცხოა კაზიონურ-ბიუროკრატიული ავტომატიზმი. „ჩვენ არ ვიცხადებთ პრეტენზიას, — აღნიშნავდა ლენინი,— რომ მარქსმა ან მარქსისტებმა იციან სოციალიზმისაკენ წამყვანი გზა მთელი მისი კონკრეტობით. ეს უაზრობაა. ჩვენ ვიცით ამ გზის მიმართულება, ჩვენ ვიცით, თუ რა კლასობრივ ძალებს მივყავართ ამ გზით, ხოლო კონკრეტულად, პრაქტიკულად, ამას გვიჩვენებს მხოლოდ **მილიონების გამოცდილება**, როდესაც ისინი ხელს მოჰკიდებენ საქმეს“ (თხზ., ტ. 25, გვ. 340).

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია ლენინის ბრძნული სიტყვების მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს. შემოქმედებითი აქტივობა მშრომელებისა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, — აი ის გადამწყვეტი ძალა. რომელმაც უზრუნველყო სსრ კავშირში დიად სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელება უმაგალითოდ მოკლე ვადებში.

ცნობილია, მაგალითად, თუ რა უდიდესი სიძნელეები ეღობებოდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას. აუცილებლად საჭირო იყო მისი საუკუნეობრივი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევა და მძიმე მრეწველობის ახლად შექმნა. ეს ისტორიული ამოცანა წარმატებით გადაწყდა 12-13 წელიწადში, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაცია 50-100 წელიწადში ხორციელდებოდა. ისტორიული განვითარების ტემპების ასეთი დაჩქარების მიზეზები უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ კომუნისტურმა პარტიამ შეძლო ინდუსტრიალიზაციის იდეით აღფრთოვანებინა მთელი საბჭოთა ხალხი, დაეარაზმა იგი ხუთწლედების შესრულებისათვის საბრძოლველად, შეექმნა მასების მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობა.

განა შეიძლებოდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის განხორციელება, პარტიას რომ არ აემოძრავებინა მილიონობით ღარიბი და საშუალო გლეხები, რომ არ დაერწმუნებინა ისინი მეურნეობის კოლექტიური გაძღოლის უპირატესობებში, რომ თვითონ არ მოეკიდნა ხელი სოფლად ცხოვრების ახალი, სოციალისტური ფორმების შექმნისათვის!

საბჭოთა ხალხის დიადმა ისტორიულმა როლმა უდიდესი ძალით იჩინა თავი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამული ომის წლებში. ამ ომმა ცხადყო, თუ გმირობისა და თავდადების რა სასწაულების მოხდენა შეუძლია ექსპლოატაციის უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხს, რომელიც იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თავის დიად სოციალისტურ მონაპოვარს.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ თანამედროვე ომებში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით სწორედ ხალხის მასებს, რომლებიც იბრძვიან სამართლიანი საქმისათვის, მოწინავე, პროგრესული იდეებისათვის. და მარქსიზმ-ლენინიზმისაგან, ისტორიული სიმართლისაგან აშკარა გადახვევაა დიდი სამამულო ომის ისეთი გამოხატვა ჩვენს პროპაგანდისტულ ლიტერატურაში, აგრეთვე მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებიდანაც გამოდის, რომ ჩვენი გამარჯვებანი ამ ომში ერთი ადამიანის, სახელდობრ ი. ბ. სტალინის ღონისძიებათა შედეგია. ნამდვილად კი ჩვენს გამარჯვებას უნდა ვუმადლოდეთ მთელ ხალხს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობას, ჩვენს სახელოვან შეიარაღებულ ძალებს, ჩვენს ჯარისკაცებსა და მატროსებს, ოფიცრებსა და გენერლებს.

* * *

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას თან სდევს მასების შრომითი აქტივობის განუხრელი ზრდა. კომუნიზმს, გვასწავლის ლენინი, წარმოშობს კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებულ მილიონთა შემოქმედებითი შრომა. მასების შრომითი აქტივობა თავის მაფიო გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო გახდა.

ვ. ი. ლენინი სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, ამ საქმეს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად თვლიდა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალიზმი პირველად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ შეჯიბრება გამოვიყენოთ ნამდვილად მასობრივი მასშტაბით და მშრომელთა უმრავლესობა ჩავაბათ ისეთ მუშაობაში, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი ნიჭი, გამოაჩინონ ტალანტები, რომლებიც ხალხში აურაცხელია.

სოციალისტური შეჯიბრება განსაკუთრებულად დაკავშირებულია ტექნიკურ პროგრესთან, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობისათვის — შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლასთან. ლენინი აღნიშნავდა, რომ კომუნიზმი არის „შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა“ (თხზ., ტ. 29, გვ. 499).

საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითად ეკიდებიან შრომას, იჩენენ ინიციატივას წარმოების სრულყოფის საქმეში, ეძიებენ შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალ რეზერვებს. „შემოქმედებითი ინიციატივა ჩვენი დროის ნიშანია. ინიციატივიანი ადამიანი ჩვენი დროის გმირია“, — ამბობდა ნ. კუზმინი, მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მეკარუსელე ხარატი.

ასეთი გმირებით — შემოქმედებითი შრომის ადამიანებით, წარმოების ნოვატორებით მდიდარია ჩვენი საზოგადოება. მათი ტიპიური წარმომადგენელია ქარხანა „კრასნი ექსკავატორის“ ხარატი ამხ. სემინსკი. უკვე ათი წელია იგი ხუთმაგადექვსმაგად ასრულებს ნორმებს. თავისი მუშაობის პროცესის ახლებურად მოწყობით მან მნიშვნელოვნად შეამცირა დამხმარე დრო დეტალების დამუშავებისას და თითქმის ერთიორად გაადიდა სამანქანო დრო.

სოციალისტური შეჯიბრების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მოწინავე გამოცდილების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მიღწევების ფართოდ გავრცელება. ლენინი ამბობდა, რომ პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ „მაგალითის ძალა პირველად ღებულობს შესაძლებლობას თავისი მასობრივი მოქმედების მოსახდენად“ (თხზ., ტ. 27, გვ. 307).

მოწინავე გამოცდილების, როგორც ხალხის დიადი შემოქმედების გამოვლინების, გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე მოყვანილ იქნა ამ ძირიგ დამახასიათებელი მაგალითი. ყარაგანდის აუზის ქვანახშირის კომბინატის მოწინავე მემანქანეებმა ამხანაგებმა ბუშჩინსკიმ და ველიჩკომ კომბაინის თვიური გამოუშვებია აიყვანეს 26 ათას ტონამდე, ესე იგი გაზარდეს თითქმის სამჯერ უფრო მეტად, ვიდრე საშუალოდ მთელ აუზში, და თითქმის ხუთჯერ მეტად, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ხაზით. ამ მემანქანეების მოწინავე გამოცდილება ფართოდ რომ გავრცელოთ ქვანახშირის მრეწველობაში, ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს ათეულ მილიონობით ტონა ქვანახშირს წელიწადში.

ამიტომ პარტია ყველა ხელმძღვანელისაგან მოითხოვს, რომ ისინი ღრმად სწავლობდნენ მოწინავე გამოცდილებას და ფართოდ ნერგავდნენ ყველა საწარმოსა და დაწესებულების მუშაობის პრაქტიკაში მოწინავეთა თაოსნობას.

კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში, მოითხოვენ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ გაძლიერებას, მასების კიდევ უფრო ფართო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, მთელ მის სამეურნეო-ორგანიზატორულ საქმიანობაში. ამ მიზნით ყრილობამ საჭიროდ ცნო ყველა ღონისძიებით განვითარდეს საბჭოთა დემოკრატიზმი, მტკიცედ გაუმჯობესდეს ყველა საბჭოთა ორგანოს მუშაობა ცენტრში და ადგილებზე, განმტკიცდეს მათი კავშირი მასებთან, კვლავაც წარმოებულ იქნას შეურიგებელი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, მოსახლეობის საჭიროებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ.

ამჟამად კომუნიზმის მშენებელ გმირ საბჭოთა ხალხთან ერთად ძმური ერთობით მიდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები სოციალისტური გზით. ჩვენი ეპოქის მთავარ ნიშანს შეადგენს ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

თანამედროვე ეპოქა — ეს არის ეპოქა ხალხის მასების რევოლუციური აქტივობის უმაგალითო ზრდისა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მათი ბრძოლისა, ეპოქა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების დიადი აღორძინებისა, რომლებიც კოლონიზატორებს ათეული და ასეული წლების მანძილზე ჩამოშორებული ჰყავდათ მსოფლიო ცივილიზაციის ფართო გზის განვითარებისაგან.

ანალიზს უკეთებდა რა მსოფლიო ამბების განვითარების პერსპექტივებს, ლენინი 1923 წელს წერდა: „ბრძოლის შედეგი, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. და სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმება ბრძოლაში თავის განთავისუფლებისათვის, ასე რომ ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ მსოფლიო ბრძოლა. ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უცილობლად უზრუნველყოფილია“ (თხზ., ტ. 33, გვ. 592).

ლენინის ეს გენიალური წინასწარხედვა მთლიანად დასტურდება. მარტო უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე კოლონიური და ნახევრადკოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდა ერთ მილიარდ ორას მილიონ ადამიანზე მეტი — დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. ახლოვდება სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის დრო. დადგა ლენინის მიერ განჭვრეტილი ახალი პერიოდი მსოფლიო ისტორიისა, როცა აღმოსავლეთის ხალხები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში, ხდებიან საერთაშორისო ურთიერთობის ახალ მძლავრ ფაქტორად.

უაღრესად გაიზარდა ხალხის როლი იმპერიალიზმის აგრესიული ძალების ალაგმვაში. მშვიდობისმოყვარე ძალებს დედამიწაზე სოციალიზმის მსოფლიო ბანაკის სახით აქვთ აგრესიის თავიდან აცილების არა მარტო მორალური, არამედ აგრეთვე მატერიალური საშუალებანი. გარდა ამ ბანაკისა, არის დიდი ჯგუფი სხვა სახელმწიფოებისა, რომლებიც აქტიურად ილაშქრებენ ომის წინააღმდეგ. მუშათა მოძრაობა კაპიტალის ქვეყნებში ახლა ფართოდ განვითარდა. უდიდესი მასშტაბი მიიღო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობამ. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში შეიქმნა იმის რეალური შესაძლებლობანი, რომ კაპიტალიზმის აგრესიულ ძალებს საშუალება არ მიეცეთ გადაჩეხონ ხალხები ახალ ომში, ხოლო თუ ისინი შეეცდებიან ომის დაწყებას, — გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორებს, ჩაფუშონ მათი ავანტიურისტული გეგმები.

* * *

ხაზგასმით აღნიშნავს რა ხალხის მასების როგორც საზოგადოების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის უდიდეს როლს, მარქსიზმ-ლენინიზმი სულაც არ უარყოფს გამოჩენილ ადამიანთა მნიშვნელობას ისტორიაში, შრომელი მასების ბელადების მნიშვნელობას მასების ბრძოლაში თავიანთი განთავისუფლებისათვის, ახალი საზოგადოების აშენებისათვის. გამოჩენილი პიროვნებანი სერიოზულ როლს ასრულებენ, თუ მათ სწორად ესმით საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მოთხოვნილებანი, თუ მათი საქმიანობა შეესაბამება ხალხის მისწრაფებებს, ეყრდნობა მოწინავე კლასს, მის პარტიას. ლენინი მარქსისტული პარტიის სახით ხედავდა ხალხის კოლექტიურ ბელადსა და ხელმძღვანელს, „ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს“.

ლენინისათვის ორგანულად უცხო იყო პიროვნების კულტი, ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეების უზომო განდიდება, მათთვის ზებუნებრივი იერშებინა და თვისებების მიკუთვნება. პიროვნების კულტი ამცირებს ხალხის როლს, აფერხებს მასების ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას, ძირს უთხრის კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების შესახებ, სოციალისტურ მშენებლობაში ხალხის მასების როლის შესახებ ლენინურ მითითებებზე დაყრდნობით გადაჭრით დაგმო პიროვნების კულტი, რომელიც წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული და რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: „კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის ზადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას. ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიისა და ხალხის მასების როლს, ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში, და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს არ შეასუსტოს ბრძოლა პიროვნების კულტის გადმონაშთების წინააღმდეგ, მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდოს ის, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედი ხალხის მასებია, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი ერთსულოვნად მოიწონა მთელმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპების აღდგენამ და პიროვნების კულტის წინააღმდეგ გადამწყვეტმა ბრძოლამ ხალხის მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

ახორციელებს რა კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობას, ჩვენი პარტია ეყრდნობა ხალხის მასების ცხოვრების გამოცდილებას, განაზოგადებს მათი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებს, მშრომელთა პრაქტიკული გამოცდილებით ამოწმებს თავის გადაწყვეტილებათა სისწორეს.

ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკის სისწორე შემოწმებულია სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის მთელი მსვლელობით, იგი გამოხატავს ხალხის ნამდვილ ინტერესებს და მისი ერთსულოვანი მხარდაჭერით სარგებლობს. პარტიის ძალაა მისი განუწყვეტელი კავშირი ხალხთან. ხალხის ძალაა მისი დარაზმულობა პარტიის გარშემო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მთელი საბჭოთა ხალხი შეიარაღა კომუნიზმისათვის შემდგომი ბრძოლის დიდი პროგრამით. სსრ კავშირის ხალხები, დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიით აღსავსენი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან ამ პროგრამის განხორციელებისათვის.

ი. მალიშევი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის შესახებ

მდგომარეობა, რომელიც ამჟამად იქმნება ახლო აღმოსავლეთის რაიონში, ყველა იმ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წრეების სერიოზული ყურადღების ღირსია, რომლებიც დაინტერესებული არიან საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებით და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებით.

უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში საერთაშორისო ვითარების გამწვავების მთავარი მიზეზია ის, რომ გრძელდება ცდები შეაკოწიწონ და გაფართოონ სამხედრო ჯგუფებანი, რომლებიც ემსახურებიან კოლონიალიზმის მიზნებს და მიმართული არიან როგორც ამ რაიონის ხალხთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე მშვიდობისმოყვარე ქვეყნების უშიშროების წინააღმდეგ. ასეთი დაჯგუფებების შექმნა გახდა წყარო საერთაშორისო უთანხმოების და კონფლიქტებისა ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში, მიზეზი ურთიერთობის გაუარესებისა არაბთა სახელმწიფოებსა და ისრაელს, აგრეთვე თურქეთს შორის, პაკისტანსა და ავღანეთს, პაკისტანსა და ინდოეთს შორის.

იმის ნაცვლად, რომ მიღებული იქნეს ღონისძიებანი ამ რაიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის მშვიდობისმოყვარული და მეგობრული ურთიერთობის მოწესრიგებისათვის მშვიდობიანი თანამშრომლობის იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციამ მიიღო, ხორციელდება ზოგი ქვეყნების დაპირისპირება სხვა ქვეყნებისათვის, რაც ქმნის დაძაბულ ვითარებას ამ რაიონში. ზეგავლენა, რომელსაც ზოგიერთი სახელმწიფო ახდენს დამოუკიდებელ არაბთა სახელმწიფოებზე, რათა აიძულოს ისინი, მათი ნების წინააღმდეგ, შეუერთდნენ ცნობილი ბაღდადის პაქტის მსგავს აღნიშნულ დაჯგუფებებს, წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების დარღვევას და ეწინააღმდეგება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

„ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მომენტს ამჟამად წარმოადგენს არაბთა სახელმწიფოებისა და ისრაელის კონფლიქტის გაშვავება. როგორც უნდა შევაფასოთ ამ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, შეუძლებელია არ დავინახოთ ის, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს გარკვეული წრეები, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებით, ცდილობენ არაბთა სახელმწიფოებისა და ისრაელის კონფლიქტი გამოიყენონ თავიანთი აგრესიული მიზნებისათვის, იქამდეც კი, რომ ეცხოეთის ჯარები შეიყვანონ ამ რაიონის ქვეყნების ტერიტორიაზე და შექმნან სამხედრო გართულებანი. არაბთა ქვეყნების საქმიანში ჩარევის მიზანია კოლონიალიზმის პოზიციების აღდგენა ახლო აღმოსავლეთში, რითაც განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ნავთობის გარკვეული მონოპოლიები. როგორც ცნობილია, ამ მისწრაფებებს შეესაბამება სამი სახელმწიფოს 1950 წლის შეთანხმება. ყოველივე ის ქმნის ამ რაიონში ომის ცრის წარმოშობის საფრთხეს, რაც არ შეიძლება დავუშვათ.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გადაჭრით იცავს მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის ინტერესებს. იგი მტკიცედ და თანმიმდევრულად აზორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებს, რაც შეესაბამება ყველა ქვეყნის ხალხთა, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მისწრაფებებს.

ხალხთა დიდი მიღწევაა ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იყო მთელი რიგი იმ სახელმწიფოების ეროვნული დამოუკიდებლობის დამყარება და სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცება, რომლებიც ბოლო დრომდე კოლონიური ან საქვემანდატო ტერიტორიების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. საბჭოთა კავშირი თანაგრძნობით და მხურვალე მხარდაჭერით მეკიდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მეცადინეობას დაემყარებინათ და განმტკიცებინათ ეგვიპტის, საუდის არაბეთის, სირიის, ლიბანის, იემენის, იორდანიის, ლიბიის, სუდანის, ერაყის, ისრაელისა და სხვათა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საბჭოთა კავშირმა ასევე შეაფასა ინგლისისა და საფრანგეთის მოქმედება, რომელიც ხელს უწყობდა ახლო აღმოსავლეთის მომწიფებული პრობლემების გადაჭრას აღნიშნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღიარების ბაზაზე.

სახელმწიფოთა ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, აგრეთვე საერთაშორისო დავის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრის პრინციპები განმტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში. საბჭოთა მთავრობა, როგორც ამ პრინციპების თანმიმდევრული მხარე, გულწრფელად და სულით და გულით უჭერდა და უჭერს მხარს არაბთა სახელმწიფოების მისწრაფებას შემდგომ განამტკიცონ ამ ცოტა ხნის წინათ მოპოვებული ეროვნული დამოუკიდებლობა, გაიუმჯობესონ ეკონომიური კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დამკვიდრება და საერთო აღმავლობა მშვიდობისა და უშიშროების დიდმნიშვნელოვანი გარანტიაა ამ რაიონში. სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობა თანაგრძნობით ეხმაურებოდა და ხელს უწყობდა აღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობების სურვილს განეხორციელებინათ ეს მიზნები. ამასთან საბჭოთა მთავრობა არ ცდილობდა რაიმე სპეციალური სარგებლობის მიღებას თავისთვის და ისწრაფვოდა თავისი ურთიერთობა ამ რაიონის სახელმწიფოებთან მოეგვარებინა იმ სამართლიანი პრინციპების საფუძველზე, რომლებიც აზიისა და აფრიკის ხალხებმა გამოაცხადეს ბანდუნგის კონფერენციაზე.

ცდილობს რა უზრუნველყოს მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ყველა ქვეყნის ხალხთა სამართლიანი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საბჭოთა მთავრობა მუდამ ილაშქრებს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დარღვევის წინააღმდეგ და ყოველგვარი მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობა ან რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საბაბად ასეთი კონფლიქტების გაჩაღებისათვის.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ შეიძლება ავიცილოთ და კიდევაც უნდა ავიცილოთ შეიარაღებული კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში და რომ ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს არ წამოეგონ პროვოკაციის ანკესს და არ ჩაეგნენ საომარ მოქმედებაში.

საბჭოთა მთავრობას ამასთან არაკანონზომიერად და შეუწყნარებლად მიაჩნია, საყოველთაო მშვიდობის დაცვის თვალსაზრისით, ცდები, რომ არაბთა სახელმწიფოებისა და ისრაელის კონფლიქტი გამოიყენონ დამოუკიდებელ არაბთა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში გარედან ჩარევისათვის ან ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების შეყვანისათვის.

ზემოაღნიშნულის გამო საბჭოთა მთავრობა აცხადებს:

1. საბჭოთა კავშირი საჭირო დახმარებას გაუწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებებს გატარებულ გზები და საშუალებანი პალესტინის რაიონში მშვიდობის განსამტკიცებლად და უშიშროების საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

2. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ უახლოეს დროში მიღებულ უნდა იქნეს ღონისძიებანი პალესტინის რაიონში არსებული დაძაბულობის შენელებისათვის ისე, რომ არ მოხდეს გარედან ჩარევა, რომელიც ეწინააღმდეგება ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ნებას და გაერთიანებული ერების პრინციპებს.

საბჭოთა კავშირი მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს თავი შეიკავონ რაიმე მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება გააბნევოს მდგომარეობა საზღვრების არსებულ ხაზზე, რომელი

მთელი ძალები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

ლენინის სახელობის შახტის პარტიულ კრებაზე

განთქმულია ტყიბულის ქვანახშირის საბადო. ამ საბადოს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ნაწილს ლენინის სახელობის შახტი ამუშავებს. ჩვენს რესპუბლიკაში ძნელად მოძებნით ისეთ სამრეწველო საწარმოს, რომელიც არ იღებდეს ამ შახტის მიერ ამოღებულ მაღალხარისხოვან ქვანახშირს. საკმარისია ითქვას, რომ ლენინის სახელობის შახტი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ყოველდღიურად მისთვის საჭირო ქვანახშირის თითქმის ორ მესამედზე მეტს უგზავნის. შახტის კოლექტივი მეშვიდე წელია გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს.

წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში დიდია შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლი. პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 200-ზე მეტ კომუნისტს აერთიანებს, ყოველივე ახლისა და პროგრესულის დანერგვის, საწარმოო რეზერვების გამოვლენებისა და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების ინიციატორია.

პარტიის XX ყრილობამ მეშახტეების წინაშე ახალი დიდი ამოცანები დასახა. ყრილობის დირექტივებით ქვანახშირის ამოღება 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ უნდა გადიდდეს. ლენინის სახელობის შახტმა ახალ ხუთწლედში ქვანახშირის ამოღება სულ ცოტა 11,5 პროცენტით უნდა გაადიდოს.

პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხილვას მიეძღვნა შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. სკკპ XX ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. გორგიძემ.

— დიდი ამოცანებია დასახული მეექვსე ხუთწლედში მეშახტეთა წინაშე, — ამბობს მოხსენებელი. — ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ქვანახშირის — წარმოება, ვზრდოთ შრომის ნაყოფიერება, მოვამზადოთ ქვანახშირის ახალი საბადოები, შევარჩიოთ ქვანახშირის ფენების დამუშავების უფრო ეფექტიანი სისტემები და მეთოდები, დავნერგოთ ახალი სამთო ტექნიკა, ავზრუნველვყოთ არსებული სამთო მანქანებისა და მექანიზმების უფრო სრულყოფილად გამოყენება, დავაჩქაროთ შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისება.

მოხსენების შემდეგ გაცხოველებული კამათი გაიმართა. კომუნისტთა სიტყვებში იგრძნობოდა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების ღრმა ცოდნა. ყველა გამოსვლა იყო საქმიანი და კონკრეტული, გამსჭვალული ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის თავდადებული ბრძოლის სულისკვეთებით.

— ჩვენი შახტი, — თქვა კრებაზე სიტყვით გამოსულმა შახტის მთავარმა მექანიკოსმა დ. კვერნაძემ, — სულ უფრო მექანიზებული ხდება. თითქმის მთლიანად მექანიზებულია შპურების ბურღვა-აფეთქება, გამომუშავებული სიგრცეების განიავება, მონგრეული ქვანახშირის ტრანსპორტირება. შახტის ღრმა ჰორიზონტიდან გადამუშავებული წყალი მძლავრ ტუმბოებს ამოაქვს. საქვესართულო ჰორიზონტებზე დადგმულია გაუმჯობესებული ტიპის ქვანახშირის მომხვეტი რძლავრი კონვეიერები. ხორციელდება მძლავრი სამახტო აგრეგატების ავტომატიზაციასა და დისტანციურ მართვაზე გადაყვანა.

ყველაფერი ეს კარგია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპლექსური მექანიზაციის საქმე ჩვენს შახტში, ისევე როგორც ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დანარჩენ შახტებში, მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამის ერთ-ერთი მიზეზია საბადოს თავისებური გეოლოგიური აღნაგობა — სქელი და ძლიერი დაქანების ფენების არსებობა. საჭიროა მეშახტეთა კოლექტივის მთელი ძალები, ნოვატორთა ღონისძიებანი წარვმართოთ დამუშავების არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად ან დაგაყვანის გეგმა დიდი გადაჭარბებით გავანაღდე. მაგრამ მარტში მუშაობის ტემპი შენელდა. რა არის ამის მიზეზი? ვინ არის დამნაშავე? დამნაშავენი არიან ტექნიკური მომარაგების მუშაკები, რომლებიც არ გვამარაგებენ საჭირო მასალებით. მარტში ხშირად ვცდებოდი კუმში ჰაერის გამტარი რეზინის მილების უქონლობის გამო. ტრესტისა და შახტის მომარაგების განყოფილებათა მუშაკებმა, მიუხედავად არაერთი თხოვნისა, აქამდე ვერ მოგვამარაგეს ასეთი მასალებით.

ტექნიკური მომარაგების განყოფილებათა მუშაკების მოუქნელ მუშაობაზე ილაპარაკა აგრეთვე შახტის ელექტრომექანიკური საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. ბახუტაშვილმა. მან განაცხადა, რომ საამქროს კოლექტივს არ ამარაგებენ სხვადასხვა ზომის რკინით. ამიტომ ხშირად მანქანის მცირე დეტალის გამოჩარხვა უხდებათ დიდი ზომის რკინისაგან. ეს იწვევს რკინის დიდ დანაკარგებს.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში წითელი ზოლივით ჩანს ლენინური ზრუნვა კომუნიზმის მშენებელი ადამიანებისათვის. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია მშრომელთა რეალური ხელფასის შემდგომი ამაღლება, მცირე პენსიების გადიდება, სანიტარო პირობების შემდგომი გაუმჯობესება.

უმთავრესად ამ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები შახტის პარტბიუროს მდივანმა ვ. ბრეგაძემ და მნგრეველმა ი. გვენეტაძემ.

— ჩვენთვის, მეშახტეთათვის, — განაცხადა ამხ. ვ. ბრეგაძემ, — უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მშობლიური პარტია და მთავრობა. ამაზე ნათლად მეტყველებს ლენინის სახელობის შახტის მაგალითი. უკანასკნელ წლებში დიდად ამაღლდა მეშახტეთა ხელფასი, გაუმჯობესდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, კეთილმოწყობილი გახდა შახტის ტერიტორია, აშენდა ერავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

მიუხედავად ამისა, მეშახტეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ჩვენს შახტში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, განუხრელად იზრდება ქვანახშირის ამოღება, რაც იწვევს მეშახტეთა რიცხვის სწრაფ ზრდას. მაგრამ ამის შესაბამისად არ იზრდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ფართობი. დიდი ხანია გვპირდებიან მეშახტეთა კლუბის გაფართოებას, მაგრამ საქმით დღემდე არაფერი კეთდება.

შახტში მოუგვარებელია სასმელი წყლით მომარაგება. გასულ წელს გაყვანილ წყალსადენის ქსელს ბევრი უწესივრობა აქვს. საჭიროა მათი დროულად გამოსწორება.

კომუნისტებმა თავიანთ გამოსვლებში დიდი ყურადღება მიაქციეს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს. მათ ილაპარაკეს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლების უნარიანად განხორციელების აუცილებლობაზე; აღინიშნა მთელი რიგი საუბნო პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა, კერძოდ ის, რომ ისინი ღრმად ვერ სწვდებიან საექსპლოატაციო უბნების ეკონომიკას, ზოგიერთი კომუნისტი ვერ იჩენს გამბედაობას ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

კრებამ ერთხმად მოიწონა პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მასებში ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებისათვის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმით ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ლენინის სახელობის შახტის მეშახტეთა დასარაზმავად.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დიდი ხანი არ არის, რაც ცაგერის რაიონიდან ქუთაისში ჩამოვიდნენ დები ლიანა და ლილი თუთიასნები. მათ მუშობა დაიწყეს ცირკის სახელობის ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკაში, მალე სრულყოფილად დაეუფლნენ მკერავის პროფესიას და ამჟამად მოწინავეთა რიგებში დგანან. ჩაებნენ რა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ისინი ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 180-200 პროცენტით ასრულებენ. სურათზე: ლიანა და ლილი თუთიასნები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

ვაზის ჯიშების კოლექცია კოლმეურნეობაში

გუდაუთა. (**„კომუნისტის“ კორ.**). სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები 55 ჰექტარზეა გადაჭიმული. ახალსოფლელები ყოველწლიურად ზრდიან ვენახის ფართობს და ყურძნის მოსავლიანობას.

მაგრამ ეს კოლმეურნეობა მარტო ყურძნის უხვი მოსავლით როდია ცნობილი. რამდენიმე წლის წინათ აქ გაშენდა ვაზის საკოლექციო საცდელი ნაკვეთი, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის აფხაზეთის საყრდენ პუნქტად ითვლება. ამჟამად ამ საკოლექციო ნაკვეთზე გაშენებულია 210 ჯიშის ვაზი, რომლებიც ხარობს სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდავეთში, ყირიმში, შუა აზიის რესპუბლიკებში, აგრეთვე ევროპაში, აზიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საცდელ სადგურს მისი დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს აგრონომი ეცინიერი მუშაკი ალექსანდრე იობიძე. ან აქ აღადგინა უძველესი კოლხური ვაზის ჯიშები „პუმპულა“, „დღუნდღუში“, „მახვატელი“, „ზედაგი“, „ამლახუ“ და სხვები, რომლებიც დღემდე გადაშენებულად ითვლებოდნენ.

საყრდენი პუნქტის მეცნიერი მუშაკები კოლმეურნეობის მევენახეებთან ერთად აწარმოებენ დაკვირვებას ადგილობრივ პირობებში ამ მცენარეთა ბუნებაზე, ამუშავებენ მათს აგროტექნიკას, არჩევენ საუკეთესო ჯიშებს წარმოებაში დასანერგავად.

უკანასკნელ წლებში საცდელ ნაკვეთზე გამოიყვანეს და რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობებს გადასცეს რამდენიმე მილიონი ძირი სხვადასხვა ჯიშის ვაზის ნერგი.

დახმარება შრომისა და ომის ინვალიდებს

ამბროლაური. (**საკ. კორ.**). რაიონში შრომისა და სამამულო ომის ინვალიდებს პენსიების, ერთდროული დახმარებისა და უფასო საგზურების სახით ყოველთვიურად მრავალი ათასი მანეთი ეძლევათ.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამბროლაურის რაიონული საბჭოს აღმასკომის სოციუზრუნველყოფის განყოფილებამ პენსიების სახით 575.978 მანეთი გასცა. ამავე დროს 50 ოჯახს გაუწია ერთდროული დახმარება. უფასო საგზური მიიღო და საქართველოს სხვადასხვა კურორტებზე იმკურნალა ექვსმა კაცმა.

რაიონის სოციუზრუნველყოფის განყოფილება წელს ოცდაათამდე უფასო საგზურს მისცემს პენსიონერებს წყალტუბოში, აბასთუმანში, გაგრაში, შოვში და სხვა კურორტებზე სამკურნალოდ.

პირუტყვის ახალი საგზომები

თეთრი წყაროს. (**საკ. კორ.**). უკანასკნელ წლებში ფართოდ გაიშალა პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა. წელს სოფელ აბელიანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა ახალი ტიპური საძროხე 80 სულისათვის. პირუტყვისათვის ფერმაში გაყვანილია წყალი. ამ წყლით მოირწყვება აგრეთვე ფერმის მიწის ნაკვეთები, სადაც კოლმეურნეები საკვებ კულტურებს დათესავენ.

ახალი ტიპური საგზომები აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სოფლებში ახალაფასა და იღანოვკაში.

პირველი 40 ათასი წიწილა

თელავი. (**საკ. კორ.**). თელავის საინკუბატორო სადგურმა წელს 135 ათასი წიწილა უნდა გამოიყვანოს. აქედან 80 ათასს მისცემენ თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების კოლმეურნეობებს, დანარჩენს კი კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურეები შეისყიდიან.

საინკუბატორო სადგურში უკვე გამოჩეკილია პირველი 40 ათასი წიწილა. აქედან თელავის რაიონის ვარდისუბნის, იყალთოს, რუისპირის, ახმეტის რაიონის მატნის მახარაძის სახელობისა, ქვემო ალვანის ლენინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა თვითეულმა 1.500 წიწილა შეიძინეს, კოლმეურნეებმა და მუშა-მოსამსახურეებმა — 15 ათასი.

ვთესოთ სიმინდი დაყალიბებული თესლით

(საუბარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, პროფესორ გ. ზხვაცაბაიასთან)

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრაქტიკაში დანერგილია სიმინდის თესლის დახარისხება სიდიდისა და ფორმის მიხედვით. რაში მდგომარეობს ასე დახარისხებული, ანუ როგორც ჩვეულებრივ მას ვუწოდებთ, დაყალიბებული თესლით თესვის უპირატესობა? ეგი ააადვილებს სათესი მანქანის გამომთესი აპარატის მუშაობას და საშუალებას იძლევა ზუსტად ჩაითესოს თვითეულ ბუდნაში მარცვალი განსაზღვრული რაოდენობით (ორ-ორი ან სამ-სამი), რის შედეგად საჭირო აღარ იქნება ისეთი შრომატევადი სამუშაოს შესრულება, როგორიც არის ნათესების გამოხშირვა. გარდა ამისა, დაყალიბებული მარცვალი ერთდროულად აღმოცენდება, თანაბრად ვითარდება და ერთდროულადვე შემოდის, რაც ზრდის მოსავლიანობას. დაყალიბებული თესლით თესვა გვაძლევს თესლის გაწმენდაზე დროის, სამუშაო ძალის, აგრეთვე თესვაზე თესლის მნიშვნელოვან ეკონომიას.

რაში მდგომარეობს სიმინდის თესლის დაყალიბების ტექნიკა? დასაყალიბებელ სიმინდის ტაროებს დათესვამდე 10-15 დღით ადრე ვფშვნით სიმინდის ხელის საცეხვი მანქანით „მკრ-0,25“. აქასთან საჭირო აღარ არის სიმინდის ტაროს წვეროდან და ბოლოდან წინასწარ მოვამოროთ არანორმალურად განვითარებული უფარგისი მარცვალი, რადგან იგი მანქანაში გატარებისას მთლიანად გამოეყოფა საო მარცვალს.

სიმინდის თესლის დაყალიბების მოწყობა შესაძლებელია ხორბლეულის საწმენდ-დასახარისხებელ მანქანებზე „ოს-1“, „ოს-3“, „ოსმ-3“, „ოსმ-3უ“ და „ოვ-10“, რომლებიც სპეციალურად უნდა მოიმართოს ამ მიზნით. მანქანების გადაკეთების და გამოყენების წესი მოცემულია ინსტრუქციაში, რომელიც დაეგზავნათ მტს-ებს. გარდა ამისა, კონსულტაცია გამომქვეყნებულია გაზეთ „სელსკოე ხოზიაისტვოს“ მიმდინარე წლის 31 მარტის ნომერში.

ზემოაღნიშნულ მანქანებში მარცვლის გაწმენდა და დაყალიბება ხდება 2-3 გატარებით, საიდანაც მიიღება ოთხი ფრაქცია: საშუალო ზომის ბრტყელი, მოხრდილი ზომის ბრტყელი, საშუალო ზომის მომრგვალო და მოზრდილი ზომის მომრგვალო ფორმის, სხვადასხვა სიგანის, სისქისა და რაოდენობის თესლი. კარგად დაყალიბებული სიმინდის მარცვალი სრულიად სუფთაა, შიგ არ ურევია სხვა კულტურები და სარეველები, მჩატე, დაზიანებული, დამტვრეული და ზედმეტად წვრილი მარცვლები.

დაყალიბებული სიმინდის თესლი შესაძლებელია დაითესოს კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანებით „სკგ-6“, „სშ-6“ („ვიმ“-ის მოწყობილობით) და „სკგკ-6“, რომლებიც დამატებით უნდა დაკომპლექტდეს 15 ცალი სხვადასხვა გამომთესი დისკოთი.

გამომთესი აპარატების ნორმალური მუშაობისათვის, თავიდან რომ ავიცილოთ სიმინდის მარცვლის გატეხა ან გამომთეს დისკოში გაჭედვა, საჭიროა ყველა ტიპის სათესის კბილამრიდი სპეციალურად მოვარგოთ და მოვაწესრიგოთ ინსტრუქციის მიხედვით.

გარდა ამისა, სათესი დისკოები სისქის მიხედვით უნდა შევარჩიოთ. 5 მილიმეტრის სისქის დისკოს ვიყენებთ ბრტყელი მარცვლის, ხოლო 6 მილიმეტრი სისქის დისკოს — მომრგვალო ფორმის მარცვლის დასათესავად. რვაუჯრედიან დისკოებს ვიყენებთ თითო ბუდნაში ორ-ორი მარცვლის, ხოლო 12-უჯრედიანს — სამ-სამი მარცვლის დასათესავად.

გამომთეს დისკოებს ვარჩევთ ზუსტად, ისე, რომ დისკოს თვითეულ უჯრაში მხოლოდ თითო მარცვალი მოთავსდეს. სათესის ყველა სამუშაო ნაწილი და მექანიზმი წინასწარ გულდასმით უნდა მოვაწესრიგოთ, მინდვრად გამოვცადოთ და ამის შემდეგ გავუშვათ საექსპლოატაციოდ.

ამ გაზაფხულზე ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სიმინდის დაყალიბებული თესლით 30 ათასი ჰექტარი უნდა დათესონ. საკოლმეურნეო წარმოებისადმი პრაქტიკული დახმარების მიზნით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის იარაღ-მანქანების კათედრის ლაბორატორიაში სიმინდის თესლის დაყალიბებლად გადავაკეთეთ და მოვაწყეთ საწმენდ-დასახარისხებელი მანქანა „ოს-3“, რომელზეც წარმოებს დაყალიბებული თესლის დამზადება. გარდა ამისა, ინსტიტუტის ლაბორატორიაში მოეწყო ერთდღიანი სემინარი რესპუბლიკის მტს-ების მექანიზატორებისათვის, რომლებიც პრაქტიკულად გაეცნენ მანქანის მუშაობას და სიმინდის დაყალიბების წესებს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიზატორთა ღირსებისა და სახელის საქმეა ქმედითად დაეხმარონ კოლმეურნეობებს სიმინდის თესლის დაყალიბების საქმეში.

შემოქმედებითი შრომის დღეები

ჭიათურა. (**საკ. კორ.**). რაიონის კოლმეურნეები, მექანიზატორები, სპეციალისტები ენერგიულად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. სოფელ ქვაცეხის კირიოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს შურა გურჯიძეს განზრახული აქვს წელს ჰექტარზე მიიღოს სულ მცირე 35 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად შარშან მიღებული 28 ცენტნერისა. კოლმეურნეები შ. გელაშვილი, ერმილე და ლევანტი გოგოლაძეები უკვე შეუოგნენ თესვას.

ტრაქტორისტებმა ვ. ტეფნაძემ, ო. კაპანაძემ, გიორგი და კარლო მუმლაძეებმა 10 აპრილამდე 266 ჰექტარი მოხნეს. ამავე რიცხვისათვის რაიონში დათესილი იყო 300 ჰექტარი სიმინდი. თესვაში წინ მიდიან სოფლების მორაგვეთის, ქვაცეხისა და ნავარძეთის კოლმეურნეობები.

ქვაცეხელმა მევენახეებმა ლ. ჩუბინიძემ, გ. კაპანაძემ, ა. ჩუბინიძემ შარშან სამუალოდ ჰექტარზე 110-115 ცენტნერი ყურძენი მიიღეს და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ისინი ახლა ვენახებში წარმატებით აწარმოებენ საგაზაფხულო სამუშაოებს.

წველადობის გადიდებისათვის იბრძვიან ს. გოცაძე, თ. ფხალაძე, ნ. ყობაშვილი, ლ. ტყემალაძე, ზ. ცხოვრებაძე, ვ. სამხარაძე, ლ. ჯაჯანიძე, რომლებიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შეტანილი არიან მეცხოველეთა რესპუბლიკურ საპატიო წიგნში.

ბოლნისელ მეთამბაქოეთა წარმატება

ბოლნისი. (**საკ. კორ.**). შარშან კოლმეურნეობებმა თამბაქოს მოსავლიანობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის, სოფელ აკაურთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც სამუალოდ ჰექტარზე 18-20 ცენტნერი თამბაქო მიიღეს. წელს რაიონში ეროვნულად შეუდგნენ თამბაქოს სათბურებში და ცივ კვლებში თესვას. თამბაქოს სათბურებში თესვა დამთავრებულია. ეს სამუშაო გრძელდება კვლებში.

თამბაქოს თესვაში დაწინაურდნენ სოფელ კაზრეთის კოლმეურნეობა „ოქტომბერი“, არახლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმი“, სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. ბოლნისელი მეთამბაქოეები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს სამუალოდ ჰექტარზე მიიღონ 25 ცენტნერი თამბაქო.



დიდი ხანია ტყვიავის მტს-ში (გორის რაიონი) მუშაობს მექანიზატორი ა. ბუჩუკური, რომელიც ამჟამად მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადას ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა მოწინავეა. სურათზე: შაკრის ჭარხლის თესვა სოფელ ტირძნისის კოლმეურნეობა „კავკასიონის“ მეორე ბრიგადის მინდვრებზე. წრეში — მექანიზატორი ა. ბუჩუკური.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ დღეებში

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო ამჟამად დიდ ყურადღებას აქცევს პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პროპაგანდას მოსახლეობაში. ამ მიზნით კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და სანკითხველოების, კულტურისა და დასვენების პარკების მუშაკთათვის ეწყობა მეთოდური თათბირები, სარაიონთაშორისო კურს-კონფერენციები და სემინარები, იკითხება ლექციები და მოხსენებები, მოწყობილია ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილი გამოფენები და სხვ.

რესპუბლიკის საარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკებს დაეგზავნათ პარტიის XX ყრილობის მასალები.

ცენტრალურმა კულტურის სახლმა მოამზადა XX ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას გაეგზავნა. შექმნილია ხეთი აგიტმხატვრული ბრიგადა, რომლებიც კულტურულ მომსახურებას გაუწევენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის გაძლიერების მიზნით ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე გაიგზავნა ოთხი კულტმუშაკი და ამდენივე ლექტორი. აქვე მივლინებული იყო და მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმებში თებერვალში 20 კონცერტი მოაწყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ. XX ყრილობის მასალების პროპაგანდის მიზნით ლიტერატურული საღამოების მოსაწყობად ცხაკაიას, სამტრედიის, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონებში მივლინებულ იქნა მწერალთა ბრიგადა ვ. გორგაძის, ს. თავაძის და ვ. გორგანელის შემადგენლობით.

ჩორნი რინოკის, ნოღაისა და ივრის საზამთრო საძოვრებზე მწყემსებთან მოეწყო ოთხმოცი ლექცია-საუბარი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევსა და კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში გაიმართა გამსვლელი სამეცნიერო სესიები სოფლის მეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე. სესიებზე ლექცია-მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა დ. გედევანიშვილმა, პროფესორმა ს. ერქომაიშვილმა, დოცენტმა გ. რცხილაძემ, პარტიის კასპის რაიკომის მდივანმა გ. კეჩხუაშვილმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ რ. მარკოზაშვილმა. ამ უკანასკნელმა დამსწრეთ გააცნო მექანიზებული ფერმის მუშაობის გამოცდილება.

ბათუმის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმში, ქუთაისის და გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისტორიაში ხალხის მასების როლის საკითხის გაშუქებას, პიროვნების კულტის მავნეობას, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. ამ მუზეუმებში გამოფენები შეივსო ახალი ექსპონატებით.

წელს ჩვენ, რესპუბლიკაში შემდგომ გაფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. გაიხსნება 100-ზე მეტი ბიბლიოთეკა, კლუბი, კულტურის სახლი, კულტურისა და დასვენების პარკი და სხვ.

ვ. ვაჭარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოვლენა, რომელიც უდიდეს ინტერესს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის“

ინგლისური პრესა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შესახებ

ლონდონი, 16 აპრილი. (საკდესი). ინგლისური გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ ცნობებს, რომ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი კრეისერ „ორჯონიკიძეთ“ ინგლისში გამოემგზავრნენ. საბჭოთა ხელმძღვანელების ვიზიტს ეძღვნება ბევრი გაზეთის სარედაქციო სტატიები და დიპლომატიურ მიმომხილველთა კომენტარები.

კომენტატორთა უმრავლესობა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში გამგზავრებას აფასებს როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მოვლენას.

ეზეთინი რა სსრ კავშირისა და ინგლისის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა მომავალ მოლაპარაკებას, მთელი რიგი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ განზრახულია, უწინარეს ყოვლისა, განხილულ იქნას ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისა და ჯათი თანამშრომლობის გაფართოების პრობლემები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საერთაშორისო საკითხი, რომელთა მოწესრიგება ხელს შეუწყობდა მშვიდობის განმტკიცებას.

მაგალითად, ინგლისის საქმიანი წრეების ორგანო „ფაინენშლ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „რუსეთთან ვაჭრობა“ ხაზგასმით აღნიშნავს ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების დიდ მნიშვნელობას. ამასთან ერთად გაზეთი ცდილობს დაამტკიცოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ხელოვნური ბარიერების არსებობა ან, როგორც იგი ამბობს, „სტრატეგიული კონტროლი“ თითქოს არ არის „სერიოზული დაბრკოლება“ ინგლისისა და სსრ კავშირის ვაჭრობის განვითარებისათვის.

ინგლისური პრესის ბევრი გავლენიანი ორგანო იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა ვიზიტი გამოიწვევს ინგლისელ და საბჭოთა ხალხებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასა და მეგობრობის განმტკიცებას.

კონსერვატიული გაზეთი „იორკშირ პოსტი“ აქვეყნებს მოწინავე სტატიას, რომელიც ეძღვნება ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს, სათაურით: „შეხვედრა, რომელიც შეიძლება დიდი შედეგი გამოიღოს“. „მისი უდიდესადენილესობის მთავრობის მიზანი, — აცხადებს გაზეთი, — უნდა იყოს რუსეთის მთავრობასთან უკეთესი ურთიერთობის დამყარება“.

აკრიტიკებს რა ინგლისის იმ წრეებსა და პრესის ორგანოებს, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მეგობრობისა და კეთილი ნების ატმოსფეროს შექმნას მომავალი ვიზიტის გარშემო, გაზეთი აღნიშნავს, რომ მათი გამოსვლები მიმართულია „უკეთესი ურთიერთგაგების მიღწევის ცდების წინააღმდეგ“. გაზეთი მოგვაგონებს ჩერჩილის ამასწინანდელ განცხადებას, რომელიც მიმართულია კონსერვატიული პარტიის მოღვაწეებისადმი და რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა სტუმრებს „აქვთ იმის უფლება, რომ მათ თავაზიანად და კეთილმოსურნეობით მოეპყრონ“, და რომ არის საფუძველი იმედი ვიქონიოთ, „რომ მათი ვიზიტის შედეგად დამყარდება უკეთესი და უფრო ნაყოფიერი ურთიერთობა“. „ეს სიტყვები, —ნათქვამია სტატიაში, — არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც პირობითი ზრდილობის გამოხატულება. ამგვარ შეხვედრას შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესება გამოიწვიოს“.

დასასრულ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირისა და ინგლისის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრის მიზანი უნდა იყოს „მშვიდობისა და აყვავების უზრუნველყოფა“.

მეორე გავლენიანი კონსერვატიული გაზეთი „ბირმინჰამ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში საბჭოთა ხელმძღვანელების გამომგზავრებას ინგლისში ახასიათებს როგორც „მოვლენას, რომელიც უდიდეს ინტერესს წარმოადგენს არა მარტო ინგლისისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც“.

აღნიშნავს რა, რომ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ქმნის ინგლისისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის „პირდაპირი მოლაპარაკების ხელსაყრელ შესაძლებლობებს“, გაზეთი წერს: „სავსებით გასაგებია, რომ ამ ვიზიტს შეუძლია მოგვცეს დიდი დადებითი შედეგები“.

ინგლისში უჩვენებენ ფილმს კრემლის შესახებ

ლონდონი, 16 აპრილი. (საკდესი). გუშინ ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციამ ტელევიზიით გადასცა საბჭოთა ფილმი მოსკოვის კრემლის შესახებ.

ფილმის დემონსტრაციის წინ გამოვიდა გაზეთ „სანდი ტაიმსის“ ყოფილი მოსკოველი კორესპონდენტი სირილ რეი. მან ილაპარაკა კრემლის ხელოვნების საგანძურებზე, მისი ეკლესიებისა და სასახლეების არქიტექტურაზე.

ლონდონში შეეცადნენ ცეცხლი წაეკიდებინათ საკრებულოს გადაწყვეტილების შენობისათვის

ლონდონი, 16 აპრილი. (საკდესი). 15 აპრილს გვიან საღამოს მოსახლეობის პროგრესიული ცდა ცეცხლი წაეკიდებინათ საკრებულოს ლონდონის გადაწყვეტილებისათვის. უცნობმა პირებმა საკრებულოს გადაწყვეტილების კარებს (გადაწყვეტილება მოთავსებულია რეიტერის სააგენტოს შენობაში) საწვავი სითხე შეასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. დაწყებული ხანძარი მალე ჩაქრობილ იქნა.

ბულგარეთის სახალხო კრების საგანგებო სესია

სოფია, 16 აპრილი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაიწყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მეხუთე საგანგებო სესიამ. სესიის ესწრებოდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშინის დელეგაცია, რომელიც ბულგარეთში იმყოფება. დარბაზში მის გამოჩენას დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

სესიამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენება სახალხო კრების დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ,
2. განხილვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებისა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ,
3. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები,
4. სამანდატო კომისიის მოხსენება სახალხო კრების დეპუტატთა ნაწილობრივი არჩევნების შედეგების შესახებ,
5. სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და გადაწყვეტილებათა დამტკიცება.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სახალხო კრების ბიუროს თავმჯდომარემ ფერდინანდ ჯოზოსკიმ მისასალმებელი სიტყვით მიმართა იუგოსლავიის საპარლამენტო დელეგაციის წევრებს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა იუგოსლავიის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშინის თავმჯდომარემ მოშა პიადემ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესიაზე

ჟენევა, 17 აპრილი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესია შეუდგა თავისი დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხის — ევროპის 1955 წლის ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვის განხილვას.

გუშინ მიმოხილვის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, ინგლისის, ბელგიის, დანიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა.

ინგლისის წარმომადგენელი შეეხო ინგლისის ეკონომიკის ზოგიერთ სიძნელეებს. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობამ სხვადასხვა ღონისძიებანი განახორციელა საშინაო მოხმარების შესამცირებლად ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

დანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დანიის საგარეო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ევროპის სხვა ქვეყნებთან და, კერძოდ, საბჭოთა კავშირთან. მან იმედი გამოთქვა, რომ დანიის ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან შემდეგში გაფართოვდება.

საბჭოთა დელეგაციის წევრმა ა. ზახაროვმა თავის გამოსვლაში დაახასიათა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარების წარმატებანი.

თავისი გამოსვლის ნაწილი ამხ. ზახაროვმა მიუძღვნა დასავლეთ ევროპის ქვეყნების 1955 წლის მდგომარეობის ანალიზს. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ წარმოების ზრდა გასულ წელს ამ ქვეყნებში მიმდინარეობდა მერყევ საფუძველზე, რამდენადაც იგი დაკავშირებული იყო შეიარაღების წარმოების ზრდასა და ეკონომიკის ცალმხრივ განვითარებასთან.

საბჭოთა დელეგატმა შემდეგ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა ევროპის ეკონომიური მდგომარეობის მიმოხილვის შინაარსის გამო. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ მიმოხილვაში, არსებითად, არ არის ცდა გამოავლინონ, თუ რა არახელსაყრელი შედეგები მოჰყვება გამალებულ შეიარაღების ქვეყნების ეკონომიური განვითარებისათვის, აგრეთვე აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების დიდმნიშვნელოვან საკითხებს მიმოხილვაში სათანადო ყურადღება არ ექცევა.

საბჭოთა კავშირი, განაცხადა დასასრულ ამხ. ზახაროვმა, უარყოფს ომის გზას და მიიჩნია, რომ ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს და კიდევაც უნდა მოწესრიგდეს მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების საშუალებით. ისახავს რა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მნიშვნელოვანი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანას, საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს კვლავაც მთელი სიმტკიცით დაიცვას ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების საქმე. საბჭოთა კავშირს მიიჩნია, რომ ეკონომიკის განვითარებისა და ხალხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დარგში მშვიდობიანი შეჯიბრება შექმნის იმის ფართო შესაძლებლობას, რომ ყველა სახელმწიფომ ურთიერთსასარგებლოდ ითანამშრომლოს ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

იუნესკოს აღმასკომის სესიაზე

მადრიდი, 16 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების განათლებისა, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის (იუნესკოს) აღმასრულებელი კომიტეტის 43-ე სესიის დღევანდელი სხდომა განიხილავდა 1956 წლისათვის ტექნიკური დახმარების პროგრამას და ბიუჯეტს და შესაბამის პროექტს 1957 წლისათვის.

1955 წელთან შედარებით ეს პროგრამა მნიშვნელოვნად დიდდება.

რეზოლუციისათვის კენჭისყრის წინ ინგლისის წარმომადგენელმა ტომასმა შეიტანა შესწორება პროგრამის იმ განყოფილებაში, რომელიც შეეხება დახმარების გაწევას ბომბეის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მშენებლობაში (ინდოეთი) იმ შენატანთა ხარჯზე, რომლებიც საბჭოთა კავშირს შეაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სუსტად განვითარებულ ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევის სპეციალურ ფონდში. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი მონაწილეობას იღებს ბომბეის ინსტიტუტის შექმნაში სამმხრივი შეთანხმების შესაბამისად, რომელიც 1955 წელს დაიდო ინდოეთს, სსრ კავშირსა და იუნესკოს შორის.

ტომასმა, კერძოდ, მოითხოვა, რომ ბომბეიში ექსპერტები გაიგზავნონ რაც შეიძლება მეტი ქვეყნიდან. ტომასის წინადადებას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სპილჰაუსმა. რამდენადაც ბომბეის ინსტიტუტის შექმნას და მოწყობას დახმარებას უწევენ ის სახსრების ხარჯზე, რომლებიც გაიღო საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი ფონდისათვის, ბუნებრივია, რომ ინდოეთის მთავრობის თხოვნით ამ დახმარებაში მონაწილეობს საბჭოთა ექსპერტების ჯგუფი. ამიტომ ტომასის შესწორება მიღებული იყო ყოველგვარ საფუძველს.

ტომასის შესწორების წინააღმდეგ გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი ლოეიე, რომელმაც აღნიშნა, რომ ტომასის შესწორება უადგილოა და შეიძლება ძხოლოდ ჩრდილი მიაყენოს იმ კონკრეტულ დადებითს მაგალითს, რომ საბჭოთა კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით ტექნიკურ დახმარებას უწევს სხვა ქვეყანას.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ს. კემენოვმა, რომელმაც ამ საკითხზე ილაპარაკა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ისეთი ტექნიკური დახმარების გაწევის მომხრეა, რომელიც არ იქნება განპირობებული სამაგიერო ეკონომიური, პოლიტიკური ან სხვა პრივილეგიის მიცემის მოთხოვნით.

შეეხო რა ინგლისის წარმომადგენლის შესწორებას, კემენოვმა მოაგონა სესიას, რომ საბჭოთა კავშირი იუნესკოს მეშვეობით დახმარებას უწევს ბომბეიში ინსტიტუტის შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებათა სრული შესაბამისობით და ისეთი ფორმებით, რომლებიც გათვალისწინებული და მოწონებული აქვს ამ საერთაშორისო ორგანიზაციას.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა სესიის თავმჯდომარე ინდოეთის დელეგატი მუდალიარი, რომელიც აგრეთვე წავიდა ტომასის შესწორების წინააღმდეგ, ტომასი იძულებული გახდა მოეხსნა შესწორება.

დისკუსიის დამთავრების შემდეგ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი, რომელიც კომისიამ წარადგინა პროგრამის შესახებ.



თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლი კომბაინის ქუჩაზე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელოვნების ქრონიკა

სომხური დრამის თეატრში

ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ნ. მრევლიშვილის თანამედროვეობის ამსახველი პიესა — „ლელა“ („ზვავი“). პიესის თარგმანი ეკუთვნის ს. ავჩიანს.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ჰ. უმიკიანი, მხატვარი — სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. თავაძე, კომპოზიტორი—ნ. მკრტჩიანი.

ნთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ალავერდიანი, მსახიობები ე. სტეფანიანი, ა. ჭაჯერორიანი, რ. ბაბაკიანი, ვ. ეზატიანი, წ. ვრეირი, რ. სიმონიანი.

„მოძღვარი“ რაიონული კულტურის სახლის სცენაზე

ონი. (საკ. კორ.). რაიონული კულტურის სახლთან არსებული დრამატული კოლექტივი ყოველწლიურად ბევრ კარგ დადგმას ახორციელებს. ამ დღეებში დრამატიკულ კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ვ. ტაბლიაშვილის მიერ ინსცენირებული ა. ყაზბეგის „ნოძღვარი“ (დამდგმელი ს. ბურდილაძე). როლებს ასრულებენ ქ. მაისურაძე (ონისე), გ. დვალელი (ნოძღვარი), ნ. ნემსიწვერიძე (ტელა), გ. სირბილაძე (დეკანოზი), ა. ციხისელი (ბეკია) და სხვ.

თბილისის ტურისტთა გაზაფხული

ახლოვდება ზაფხული—ტურიზმისათვის საუკეთესო დრო. ათასობით მშრომელი, სტუდენტი და ძოსწავლე ემზადება მოგზაურობისათვის, ტურისტული ლაშქრობისათვის.

ბევრ ტურისტს იზიდავს ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი ლამაზი ბუნება — მთები, ზღვა სუბტროპიკული სანაპიროებით, ისტორიული ძეგლები და სხვ.

საქართველოში მოგზაურობის მარშრუტებიდან ყველაზე საინტერესოა ოთხი გზა. ერთი მარშრუტი იწყება ორჯონიკიძეში, გაიცლის ყაზბეგს, ფასანაურს, გორს, მცხეთას, თბილისს და გათავდება ბათუმში. ბაქოდან წამოსული ექსკურსანტები დაათვალიერებენ ერევანს, თბილისს, გორსა და ბათუმს. მესამე მარშრუტი იწყება მოძმე სომხეთის დედაქალაქ ერევანში, გაიცლის ძთის ლამაზ ტბას სევანს, შემდეგ კიროვაკანის, თუმანიანის, თბილისის, გორის გავლით თავდება გაგრაში. ალაგირი-ახალი ათონის მარშრუტით გათვალისწინებულია ჩათვლითი ლაშქრობები ტურისტის ნიშნის მისაღებად.

ამეამად თბილისის ტურისტთა ბაზაში გაცხოველებით ემზადებიან ახალი სეზონისათვის. მომდინარეობს შენობის რემონტი, წესრიგზე მოყავთ სამგზავრო მანქანები.

სპორტის ამბები

გუნდური მსოფლიო პირველობა ჭადრაკში ტანმოვარჯიშეთა შორის

სტოკჰოლმი, 16 აპრილი. (საკდესი). უპსალაში გაიმართა სტუდენტთა შორის ჭადრაკში მსოფლიო პირველობის ფინალური შეჯიბრების უკანასკნელი ტური.

ამ ტურს, რომელშიც საბჭოთა სტუდენტები უნგრელებს შეხვდნენ, ცვლილება არ შეუტანია ლიდერ გუნდებს შორის ადგილების განაწილებაში. საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდმა მოაგროვა 21,5 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: უნგრეთის გუნდი — 16,5 ქულა, იუგოსლავია და ბულგარეთი — 15 ქულა თვითეულს, ესპანეთი — 12,5 ქულა, ჩეხოსლოვაკია — 11,5 ქულა, რუმინეთი — 10,5 ქულა და ამერიკის შეერთებული შტატები — 9,5 ქულა.

სტუდენტთა შორის ჭადრაკში გუნდური მსოფლიო პირველობის შემდეგი გათამაშება მოეწყობა რეიკიავიკში (ისლანდია).

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამარჯვება

ბუდაპეშტი, 16 აპრილი. (საკდესი). აქ დამთავრდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ტანვარჯიშში.

14 აპრილს საღამოს დამთავრდა 10 ქვეყნის ტანმოვარჯიშე ქალთა შეჯიბრება. პირველ დღეს ტანმოვარჯიშენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ოლიმპიური საკალდებულო პროგრამით, მეორე დღეს — ნებისმიერი პროგრამით. საერთო პირველი ადგილი დაიკავა ლარისა ლატინინამ. მან მოაგროვა 75,98 ქულა. მეორე ადგილზეა თამარ მანინა — 75,83 ქულა. მესამე ადგილზე გამოვიდა უნგრელი სპორტსმენი ქალი ა. კელეტი.

გუშინ დამთავრდა ტანმოვარჯიშე ვაჟთა შეჯიბრება. საერთო პირველი ადგილი დაიკავა ვალერინ მურატოვმა, რომელმაც მოაგროვა 113,85 ქულა. მეორე ადგილზეა ბ. შახლინი— 113,00 ქულა. ფინელმა ტანმოვარჯიშემ კ. სუონიემმ მოაგროვა 112,75 ქულა და მესამე ადგილი დაიკავა.

საჭადრაკო მატჩი

ერევანი, 15 აპრილი. (საკდესი). დამთავრდა თბილისისა და ერევნის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი, რომელიც ტელეფონით მოეწყო. პირველ პარტიაში თბილისელები დამარცხდნენ. მეორე პარტია ყაიმით დამთავრდა. აერგად. საჭადრაკო მატჩი მოიგეს ერევნის მოჭადრაკეებმა ანგარიშით 1,5 : 0,5

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

15 აპრილს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საქართველოს 1956 წლის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში.

პირველი ჯგუფის გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: „დინამო“ (ზორი) — „კოლმეურნე“ (მახარაძე) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ პირველი (თბილისი) 2:0, „სპარტაკი“ (სტალინირი) — „დინამო“ (ბათუმი) 1 : 2, „დინამო“ (სოხუმი) — „კოლმეურნე“ (ქობულეთი) 0:0, „დინამო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:1, „ბურევესტნიკი“ (ფოთი) — ახალქალაქის ნაკრები გუნდი 3:1, 26 კომისრის რაიონის გუნდი — ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის გუნდი — 1:1, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი — „ტორპედო“ (ქუთაისი) 5:1.

დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით გათამაშების ლიდერია ფოთის „ბურევესტნიკი“, რომელსაც 8 შესაძლებლიდან (ბურთების შეფარდებით 8:3) რვა ქულა აქვს.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ბერუჩა, რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე, მარჯანიშვილის სახელობის — რას იტყვის ხალხი, გრიბოედოვის სახელობის — პირველი გაზაფხული, მუსიკალური კომედიის — საყვარელი დისშვილი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 19, 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ნაცარქექია (10 ს.), ჭილყვავი გაზაფხულს ფრინველია (6 ს.), თოჯინების ქართული — ბურატინოს თავგადასავალი (10 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, ფრუნზეშოლოფის და ბლეხანოვის სახელობის კინოთეატრები — ლედი ჰამილტონი. ძმა კომისრის სახელობის, კომკავშირელთა ძალისხვის სახელობის ალმა. კომუნარების ბაღი — ბრძოლა ვეფხვზე. ლენინგორი, კიროვის სახელობის პარკი. ოქტომბერი, სახლი — მეჩსიკელი. კოლხიდა დადიანი — ოტელო, გორკის სახელობის კულტურის სახლი — გზები და ბილი.

ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების ბაზით ბინძელეზარის ტექნიკუმი

აღებს დაკვეთებს: ვენახის ბოძებს, სარსა და ჭიგოს დამზადებაზე. პიროვებს დაუკოლებთ გაგება შეიძლება ტექნიკუმში. გალის რაიონი, სოფელი ახიგვარა.

ბინძელეზერის ტექმრეწვიერნეობის დირექცია.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

20 აპრილს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

დუბლიორთა შემადგენლობა

დასაწყისი 3 საათზე.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

ძირითადი შემადგენლობა

დასაწყისი 5 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლიორების თამაში გადატანილ იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება: თბილისის „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 19 აპრილს დილის 10 საათიდან.

ღისერტაციის დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1956 წ. 28 აპრილს დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ვახტანგ ფარნაოზის-ძე გაგუნია

დაიცავს დისერტაციის თემაზე: „Изучение электрического поля в земной коре для случая взаимно-перпендикулярных проводящих слоев“

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. ალგებრისა და გეომეტრიის კათედრა — პროფესორი—1, დოცენტი—1, ასისტენტი—1 განაკვ.
2. ნივთიერებათა აღნაგობის კათედრა — დოცენტი — 1, ასისტენტი — 3,5 განაკვ.
3. თეორიული ფიზიკის კათედრა — პროფესორი—1, დოცენტი—2, ასისტენტი—3,5.
4. ორგანული ქიმიის კათედრა—პროფესორი—2, დოცენტი—1, ასისტენტი—1.
5. ფიზიკური ქიმიის კათედრა — დოცენტი — 2, ასისტენტი — 1,5.
6. გეომორფოლოგიის კათედრა — დოცენტი — 2.
7. ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის კათედრა—დოცენტი—1.
8. ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრა—დოცენტი—3, ასისტენტი—1.
9. ბოტანიკის კათედრა—დოცენტი—2, ასისტენტი—3.
10. მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა—დოცენტი—1, ასისტენტი—1,5.
11. არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრა—დოცენტი—0,5.
12. ძველი ქართული ენის კათედრა—დოცენტი—2.
13. კავკასიური ენების კათედრა—პროფესორი—1, დოცენტი—1, უფროსი მასწავლებელი—1.
14. ფრანგული ენის კათედრა — უფროსი მასწავლებელი — 4, მასწავლებელი — 4.
15. ფინანსებისა და კრედიტის კათედრა—დოცენტი—2.
16. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა—მასწავლებელი—3.
17. რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრა—კათედრის გამგე, პროფესორი ან დოკტორი—1.
18. პოლიტიკური ეკონომიის კათედრა — პროფესორი — 2, დოცენტი — 7, მასწავლებელი (დოცენტის უფლებებში) — 3. ასისტენტი — 2.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, გარკვეული უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული ასლი. სამეცნიერო წოდებისა და ჩარიცხვის დამტკიცების სამუშაოების სათანადოდ შემოწმებული ასლები საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეკომენდაციები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა 1 თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

უნივერსიტეტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1.

დაიყოს ხელმიწვდომა ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე 1956 წლის მეორე ნახევრისათვის დამტკიცებული კატალოგის მიხედვით.

„სოიუზპეჩატი“.

ინსტიტუტი

ინსტიტუტ

ინსტიტუტ

ინსტიტ

ინ

ინ

**ინ